

„ანუშკამ ილანძლა დე იზინა“ თუ „ანუშკა  
ილანძლა დე იზინა?“

ფორმით პასიური და შინაარსით აქტიური ზმნები „დებონენსე-  
ბის“ სახელით გამოყო ა. შანიძემ<sup>1</sup>: იძლევა, იბღვირება, იგინება, იკ-  
ბინება, ილანძლება, ილოცება (=ლოცავს), ილოღნება, იმუქრება, ირ-  
წმუნება, ისწავლება, იტანება, იტყუება, იფიცება, იქოლება (=ქოქო-  
ლას აყრის), იღრინება, იყლაპება, იყურება (გამოიყურება), იცემება,  
იცქირება, იცოხნება, იწერება, იწყევლება, იჭყიტება, იხედება, იხვე-  
წება და სხვ. დებონენსური ფორმებია არა მარტო ინიანი, არამედ ენი-  
ანი ვნებითებიც (ეზიდება, ერეკება, ეწევვა)<sup>2</sup>. „საზოგადოდ დებონენსუ-  
რი ფორმის დანიშნულებაა, თავიდან აირიდოს რელიცია ანუ მიმარ-  
თება ობიექტებისადმი“, — აღნიშნავს ა. შანიძე<sup>3</sup>.

საბოლოო დასკვნა დებონენსების შესახებ „ქართული ენის გრამა-  
ტიკის საფუძვლებში“ ამგვარადაა შეჯამებული: „...საკითხი დებო-  
ნენსობის შესახებ ქართულში არსებითად რამდენსამე ზმნას ეხება,  
რომლებიც აწმყოს წრეში პასივის ფორმას ატარებენ და მნიშვნელობა  
აქტივისა აქვთ. მყოფადის წრის მწკრივის ფორმები მათ არა აქვთ<sup>4</sup>.  
იშვიათად უკეთდებათ II და III სერიის მწკრივები“<sup>5</sup>.

„დებონენსური“ ფორმები სალიტერატურო ქართულში არც თუ  
ისე იშვიათად იხმარება. ეს ფაქტი აისახა „ქართულა ენის განმარტე-  
ბით ლექსიკონში“. წარმოვადგენთ ჩვენს მიერ მოპოვებულ სათანადო  
მასალას (გარკვეული ნაწილი აქ წარმოდგენილი „დებონენსებისა“ გან-

1 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, თბ.,  
1973, გვ. 296.

2 იქვე, გვ. 297.

3 უნდა ითქვას, რომ ამ რიგის ფორმები ობიექტსაც იგუებენ: იწერება წერილ-  
სა, იცემება წიხლსა, იმაღლება, იქაღნება, იმუქრება, იხარება... (რალაცას).

4 მყოფადის წრის ფორმათა წარმოება დებონენსური ზმნებისათვის შეუძლე-  
ბელი არ არის.

5 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 300.

ზონათაშორისი

(და არა: ზონათშორისი ან საზონათა-  
შორისო)

რაიონთაშორისი

უწყებათაშორისი

კონტინენტთაშორისი

მთავრობათაშორისი

პლანეტათაშორისი და ა. შ.

გამონაკლისის სახით დარჩება მხოლოდ ორი სიტყვა **სა-** — **ო**  
თავსართ-ბოლოსართით: **საერთაშორისო** და **საქალაქთაშორისო**, რომ-  
ლებიც საყოველთაოდ არის გავრცელებული და რომლებსაც სხვა პა-  
რალელური ფორმები არ გააჩნია<sup>8</sup>.

---

<sup>8</sup> იხმარება სიტყვა „ერთაშორის“, მაგრამ მას სხვა მნიშვნელობა აქვს. იგი  
ნიშნავს არა „международный“-ს, არამედ „межнациональный“-ს.

**ი-კეც-ებ-ა:** „ქალი წამოდგა ზეზე, მოიხედა უკან და, თათარი რომ დაინახა, ერთი საოცრად დაიკვილა, ჩაიკეცა და შემოეყარა გულს“ (აკაკი). (კონტექსტიდან არ ჩანს ქალი ჩაიკეცა თუ ქალმა ჩაიკეცა).

ასევე ვერ გადაწყდება ქვემდებარის ბრუნვის საკითხი (მან თუ იგი?) კონტექსტის მიხედვით სხვა შემთხვევებშიც:

**ი-ლოც-ებ--ა:** მეც გამოვართვი თასი და დავილოცე (ვაჟა).

**ი-მულარ-ებ-ა:** სალუკოში ხომ არა ხართ, რომ ეგრე იმულარებით (ილია). თითქო ხმამოუღებლით იხვეწიმულარებოდა — ერთი მაინც შემომხელოსო (ილია).

**ნამყო ძირითადი:**

წავიდა ილო, იბრძოლა, იმულარა (რ. ინან). (იმულარა ილო თუ ილომ?).

**ი-ცრემლ-ებ-ა:** ხანა ვლონდები, ვიცრემლები, გულ-ვსევდიანობ („ივრია“).

**ნამყო ძირითადი:**

შეკვივლა და შეიკვივლა, იცრემლა და გულს იდარდა (რაფ. ერისთ.). (მდი-ნარე) აგერ ვეუბნება: როგორ მთის გულიდან წვეთად გამოიცრემლა, შემდეგ კი როგორ იქცა ცრემლი ნაკადულად (შ. არაგვი).

— თუმცა შესწავლა ბოღმა-ნაღველს ჩემი ნუგეში ვერ სწევდება, მაგრამ მაინც მინდა ყოველდღე გიახლო და თანაზიარ ვიცრემლოთ (ბანუკ).

**ი-ფურთხ-ებ-ა:** ფუი, ჩემს შავ დღეზე დაბადებას რა ვუთხრა! — ვიფურთხები (დ. შენგ.).

**ნამყო ძირითადი:**

ეს რა ვქენიო, იფურთხა და იხეხა ტუჩები (ო. ჭილ.).

(იფურთხა იგი თუ მან?).

**ი-კვებ-ებ-ა:** შენგან არ ვიკვებები (ა. ყაზბ.). მაგისტანა რაჰეებზე ფიქრს თავი დაანებე და კარგად იკვებე (რ. ინან).

**ი-ჭყიტ-ებ-ა:** როგორც მორცხვი ლამაზი ქალი, იჭყიტებოდა მთის წვერი-დამა (ილია). ურმიდან წინანდებურად გამოიჭყიტებოდა (ვაჟა).

**ნამყო ძირითადი:**

უყურადღებოდ გამოიჭყიტა თავის კუთხიდან (ილია). ისე როგორ მოს-ცდება შვინდი, რომ ყვითლად აღარ გამოიჭყიტოს გაღმა პირმზითილამ (ვაჟა).

„დებონენსებად“ წოდებულ ვნებითი გვარის ზმნათა სუბიექტის ბრუნვის რომელობა ნამყო ძირითადში, როგორც ზემოთ ვნახეთ, კონტექსტის მიხედვით ყოველთვის არ ირკვევა<sup>7</sup>. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ სათანადო ადგილებზე ცხადად არის მითითებული, რომ მოთხრობითსუბიექტიანი გაიხედა, დაიღრინა, დაიყვება მან და მისთანანი, იხედავს, დაიღრენს, იყეფებს... ფორმათა ნამყო ძირითადია, ხოლო შესაბამის ვნებითებს (იხედება, იღრინება, იყეფება...) ან არ ეწარმოებათ ნამყო ძირითადის ფორმა ანდა, ოუკი ეწარ-

<sup>7</sup> აქ, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ფორმები ნამყო ძირითადში: შეიგინ-ენ, გაილანძლ-ნენ ისინი, იგინ-ეს, ილანძლ-ეს მათ...

ზონათაშორისი

(და არა: ზონათშორისი ან საზონათა-  
შორისო)

რაიონათაშორისი

უწყებათაშორისი

კონტინენტთაშორისი

მთავრობათაშორისი

პლანეტათაშორისი და ა. შ.

გამონაკლისის სახით დარჩება მხოლოდ ორი სიტყვა **სა- — -ო** თაესართ-ბოლოსართით: **საერთაშორისო** და **საქალაქთაშორისო**, რომლებიც საყოველთაოდ არის გავრცელებული და რომლებსაც სხვა პარალელური ფორმები არ გააჩნია<sup>8</sup>.

---

<sup>8</sup> იხმარება სიტყვა „ერთაშორის“, მაგრამ მას სხვა მნიშვნელობა აქვს. იგი ნიშნავს არა международный-ს, არამედ межнациональный-ს.

გორც იცემება. ხოლმე გაქურდული სოფელი (დ. კარიჭა, თარგმ.). ეეი, ის უღ-  
მერთობი, რანირად იცემებოდნენ (ნ. ლორთქ.).

ი-ორთქლ-ებ-ა: ი რაცხა რომაა, ქშინავს და იორთქლება, პარავოზია თუ  
რაცხა (ნ. ლორთქ.).

ი-სწავლ-ებ-ა: შენითანები ვიყავით იქა, რომ ჰკუთას ისწავლები (ანტ.  
ფურც.).

ი-ღერდ-ებ-ა: რას იღერდები ძაღლივითა! (გ. ლეონ.).

ი-რწმუნ-ებ-ა: მამა რაღაცას ირწმუნებოდა (რ. ინან.).

ი-ტყეპნ-ებ-ა: მამა ისევ დანაშაულის ადგილზე იტყეპნებოდა (ო. კილ.).

მი-ი-ძაბ-ებ-ა: მიიძაბები ტრიალს მინდორზე (ვაჟა).

ა. შანიძეს ამ რიგის ოცნე მეტი ზმნა აქვს ჩამოთვლილი. ნამყო  
ძირითადის ფორმა არ ეწარმოება აგრეთვე კაუზატიურად ნაწარმოებ  
ვნებითებს: **ითვლევინება, იტყობინება, იკვრევინება...**<sup>8</sup>

2. ზმნათა ერთ რიგს ნამყო ძირითადში სუბიექტი სახელობით  
ბრუნვაში შეესაბამება, როგორც ორდინარულ ვნებითს: **ითხუპნება —  
მოითხუპნა** იგი, **იკლაკნება — დაიკლაკნა** იგი, **იპრანჭება — გაიპრანჭა**  
იგი, **იტყლარჭება — გაიტყლარჭა** იგი, **იმრიზება — ამირიზა** იგი და  
სხვა.

ი-მრიზ-ებ-ა: გიორგი ამირიზა (ილია). ზაალიც ამირიზა (მ. ჭავჭავ.).

ი-ღვრიმ-ებ-ა: ხან დაიღვრიმება: ვაითუ, რომ დაგბრუნდე, ჩემი შეილი  
გადაცვლილი დამხედეს (ს. შავაღ.).

ნამყო ძირითადი:

პხედავდა, რომ შეილს გუნება ეცვალა, უფრო დაიღვრიმა, უფრო გული  
დაიხურა (ილია).

ი-ზიდ-ებ-ა: გასაფრენად იზიდებოდა (ვაჟა). ბარგაიღებულები ცხენები  
ჰიხენით ტოტებს სცემდნენ მიწას და აქეთ-იქით მოუთმენლად მიიზიდებოდ-  
ნენ (ა. ყაზბ.).

ნამყო ძირითადი:

სატრფოსკენ მდგარად გაიზიდა (ა. ყაზბ.).

ი-წველ-ებ-ა: მისი ცხერის ფარები თურმე თრიალეთის მთებს ღრუბელივით  
აწვეებს და წვიმასავით იწვევლებს (გ. ლეონ.).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ეს ფორმა  
მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში იხმარება, თუმცა, შდრ.: გამოდით,  
**მოიწველენით**, ტავანა მზად არის (გ. ლეონ.).

ი-ხარჯ-ებ-ა: როგორც ეს იხარჯება, ას ორმოცდაათი თუმანი არ ეყოფა  
(ან. ერისთავ-ზოშტ.).

ნამყო ძირითადი:

რამდენი ვიხარჯეთ, რამდენი ვეძებთ (უიარაღო).

ი-პრ-ებ-ა: — პიი, შეილო! — დაიდრიალა მალალმალამა გლენმა იაკოფმა და  
თანაც შუაგულისკენ იპრებოდა (ზ. გულის.).

<sup>8</sup> ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 297—298.

გორც იცემება. ხოლმე გაქურდული სოფელი (დ. კარიჟ., თარგმ.). ეეი, ის უღმერთობი, რანაირად იცემებოდნენ (ნ. ლორთქ.).

ი-ორთქლ-ებ-ა: ი რაცხა რომაა, ქშინავს და იორთქლება, პარავოზია თუ რაცხა (ნ. ლორთქ.).

ი-სწავლ-ებ-ა: შენთანები ვიყავით იქა, რომ ჰქუას ისწავლები (ანტ. ფურც.).

ი-ღერდ-ებ-ა: რას იღერდები ძაღლივით! (გ. ლეონ.).

ი-რწმუნ-ებ-ა: მამა რაღაცას ირწმუნებოდა (რ. ინან.).

ი-ტკეპნ-ებ-ა: მამა ისევე დანაშაულის ადგილზე იტკეპნებოდა (ო. ჭილ.).

მი-ი-ძაბ-ებ-ა: მიიძაბები ტრიალს მინდორზე (ვაჟა).

ა. შანიძეს ამ რიგის ოცნე მეტი ზმნა აქვს ჩამოთვლილი. ნამყო ძირითადის ფორმა არ ეწარმოება აგრეთვე კაუზატიურად ნაწარმოებ ვნებითებს: **ითვლევინება, იტყობინება, იკვრევინება...**<sup>8</sup>

2. ზმნათა ერთ რიგს ნამყო ძირითადში სუბიექტი სახელობით ბრუნვაში შეესაბამება, როგორც ორდინარულ ვნებითს: **ითხუპნება — მოითხუპნა** იგი, **იკლაკნება — დაიკლაკნა** იგი, **იპრანჭება — გაიპრანჭა** იგი, **იტყულარჭება — გაიტყულარჭა** იგი, **იმპრიზება — ამპრიზა** იგი და სხვა.

ი-მპრიზ-ებ-ა: გიორგი ამპრიზა (ილია). ზალიც ამპრიზა (მ. ჯავახ.).

ი-ღვრიმ-ებ-ა: ხან დაიღვრიმება: ვაითუ, რომ დავბრუნდე, ჩემი შეილი გადაცვლილი დამზედეს (ს. მგაღ.).

ნამყო ძირითადი:

ჰხვდავდა, რომ შეიღს გუნება ეცვალა, უფრო დაიღვრიმა, უფრო გული დაიხურა (ილია).

ი-ზიდ-ებ-ა: გასაფრენად იზიდებოდა (ვაჟა). ბარგაიდებული ცხენები ჭიხვინით ტოტებს სცემდნენ მიწას და აქეთ-იქით შოუთმენლად მიიზიდებოდნენ (ა. ყაზბ.).

ნამყო ძირითადი:

სატრფოსკენ მედგრად გაიზიდა (ა. ყაზბ.).

ი-წველ-ებ-ა: მისი ცხვრის ფარები თურმე თრიალეთის მთებს ღრუბელივით აშავებს და წვიმასავით იწველებს (გ. ლეონ.).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ეს ფორმა მხოლოდ ნაკეთთა აწმყოს წყებაში იხმარება, თუმცა, შდრ.: გამოლით, **მოიწველენით**, ტაგანა მზად არის (გ. ლეონ.).

ი-ხარჯ-ებ-ა: როგორც ეს იხარჯება, ას ორმოცდაათი თუმანი არ ეყოფა (ან. ერისთავ-ზოშტ.).

ნამყო ძირითადი:

რამდენი ვიხარჯეთ, რამდენი ვეძებთ (უიარაღო).

ი-ჭრ-ებ-ა: — ჰაი, შეილო! — დაიღრიალა მალალმალამ გლეხმა იაკოფმა და თანაც შუაგულისკენ იჭრებოდა (ზ. გულის.).

<sup>8</sup> ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 297—298.

**ი-გინ-ებ-ა:** თუ ვაყავი ხარ, რას იგინებ? (ნ. ლორთქ.).

**ნამყო ძირითადი:**

საღდათებმა მიიხედ-მოიხედეს, რამდენჯერმე დაუბრუნებლად, რუსული წესით შეიგინენ სახლის მოუწყობლობაზე და მიესიენენ კერას (ა. ყაზბ.). (შეიგინენ ისინი) შდრ. ილანძღეს და იგინეს (მათ). მოხუცმა ღვარძლიანად შეიგინა (ლ. მრელ.). ფარნაოზმა შეიგინა (ო. ჭილ.).

**ი-ფხორ-ებ-ა:** ინდაურებს თავი ერთად მოუყრიათ, იფხორებია (რ. ინან.). საზეიმოდ მორთული დაიფხორებოდა (ლ. ფოიხტვანგერი, „ცრუ ნერონი“, თბ., 1963, 174), თავი მოიფყავა, ცოტა აიფხორა კიდეც (გ. ხორგ.). სიღობსტრომ წამოიფხორა (მ. მრელ.).

**ი-ყურ-ებ-ა:** რატომ ერთი თვალი არ ებრმავეს, როცა მეორე იყურებ? (ილია). განა ჰქვა არ მაქვს, რომ ვწევარ და აქით გავიყურებო (ვაჟა).

**ნამყო ძირითადი:**

ინომ თვალი ვეღარ მოაშორა ვარსკვლავს, იქამდე იყურა, სანამ თვალეზი არ აებლანდა (ო. ჭილ.). წინ იყურე, ის გირჩენია (რ. ინან.). ცოტა ხანს კიდე ვიყურეთ („ციხარა“). რევანმა მღუმაღედ გადაფურცლა ბლოკნოტი, მცირე ხანს იყურა შიგა (ლ. მრელ.). კარგა ხანს იყურა აქეთ-იქით („ხაუნჯე“). ტაბისონაშვილმა ჩვენყენ მიიხედა, იყურა — რას დაგეინახავდა (მ. ამირჯ.).

**და-ი-ბლოტ-ებ-ა:** სად დაიბლოტება, სად დაძვრება (რ. ინან.).

**ნამყო ძირითადი:**

იარა, იბლოტა, განთიადის სველ ბინდში, თფლი ჩამოიღინა (რ. ინან.).

(ნათელი არაა სუბიექტის ბრუნვა: იბლოტა იგი თუ მან).

4. ეს ქვეჯგუფი, მართალია, სხვადასხვა გვარის ზმნათა აწმყოსა და ნამყო ძირითადის პარადიგმების შეერთებით არის მიღებული, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამჟამად ერთ პარადიგმად აღიქმება:

სოფელი ახლოს იყო, ძალი იყეფებოდა (რ. ინან.).

**ნამყო ძირითადი:**

ამ დროს ძაღლმა, რომელიც შორი-ახლო იწვა და წაეყო ცხვირი მიწაში, დაიყეფა (ილია). გაუშვი იყეფოს, იყეფოს (ო. ჭილ.). დათოკილმა ძაღლმა ჯერ იყეფა (გ. ლეონ.).

**ი-ღრინ-ებ-ა:** მზარეული თვითონაც იღრინება (მ. ჯავახ.).

**ნამყო ძირითადი:**

თითქოს ნადირმა ძილში დაიდრინათ (ო. ჭილ.).

**ი-ღიმ-ებ-ა:** უსიამოდ იღიმებოდა და აგლებით ლაპარაკობთ (აკაკი).

**ნამყო ძირითადი:**

უწინდელა აღარ მძვერს ნატყვიარში, გულმაც უფრო იღიმა — უპასუხა ბესიამ (ეგ. ნინ.). ეზომ გაიღიმა (მ. ჯავახ.).

სუბიექტი სახელობით ბრუნვაშიც დასტურდება: გაიღიმა აჩრდილი: რათ მეძახი ოსტატო? (ორიონი).

**ი-ქადნ-ებ-ა:** უმცროსს ნახავს — იქადნება, უფროსს ნახავს — იქადნება.

**ნამყო ძირითადი:**

ავკაფავ მაგ ჭანგარა ყაზახს! — დაიქადნა ძუკუმ (უიარაღო).

**ი-ხედ-ებ-ა:** გული რად იხედება გარეთ, ორის თვალითა (ილია). თვალები მშვიდად გამოიხედებოდა (ნ. ლორთქ.).

**ნამყო ძირითადი:**

გიორგიმ უკან აღარ მთიხედა (ილია). მალლა ზეცისკენ აიხედა (აკაკი).  
მელმა აიხედა (ვაჟა).

**ი-ფიც-ებ-ა:** იფიცებოდა, ხარებს მეტი აღარ შეუძლია, საურმე გზა აღარ  
არისო (ნ. ლორთქ.).

**ნამყო ძირითადი:**

მაშ დაიფიცეთ, ფიცი მოგვეცით! (მ. ჯავახ.). აბა, დაიფიცე! (რ. ინან).

**ი-კურთხ-ებ-ა:** იკურთხებოდა, იფურთხებოდა, ასე ფურთხებით შამბ-  
ნარში გაქრა (მ. ლებ.). დამპალია ეს შობელძალდი — შეიკურთხა რავისთვის (ავთ.  
ჩხიკვ.). კაცმა შეიკურთხა, ცარიელი თოფი მოისროლა (ამერიკული ნოველა,  
II, 1968, გვ. 47). ერთი მაგისი ოხერი... — შეიკურთხა გურამმა („დროშა“).

**ი-ცქირ-ებ-ა:** იცქირება ერთს მხარეს (ვაჟა). სარკმელში გაიცქირე-  
ბოდა ბავშვი (ნ. ლორთქ.).

**ნამყო ძირითადი:**

იცქირეთ, შემოიცქირეთ, არა გნებავთ ძროხის არტალა?! (ვაჟა).  
ზემთ ცაშიც ავედი, რამდენიც კი შემეძლო, ვიცქირე (ნ. ლორთქ.). გარეთ  
კარბა ხანს იცქირა (ლ. მრეღ.).

სუბიექტის ბრუნვა ამ კონტექსტში არაა გარკვეული (იგი თუ მან?), მაგრამ,  
შდრ. შავლეგომ ვედროში მცირე ხანს იცქირა (ლ. მრეღ.).

მე-3 და მე-4 ქვეჯგუფებში წარმოდგენილ მოთხრობითსუბიექტიან  
ზმნათა ნაწილს აწმყოში სათანადო მოქმედებითის ფორმები ექვნიება:  
**იხედავს, მოიკეცავს, დაიყუფებს, დაიღრენს, გაიზმორებს (გაიზმორებ-  
და), იტყუებს, გამოიჭვრეტს, გამოიჭყეტს, შეიგინებს, გაიღიმებს,  
იფურთხებს...**<sup>9</sup>

ეს ფორმები შედარებითი იშვიათია თანამედროვე სალიტერატურ-  
რო ქართულში, და, თუკი იხმარება, როგორც წესი, მყოფადის დროებ-  
ში (იშვიათი გამონაკლისის გარდა); აწმყოში დროებში წარმოქმნილ  
ხარვეზს ვნებითის სათანადო აქტიური შინაარსის ფორმები აესებს  
**(იხედავს//იხედება, იგინება, იზმორება...)**. შემთხვევითი არ არის, რომ  
ამგვარი ვნებითები „თავს არიდებენ“ მყოფადის წრის ნაკვთების წარ-  
მოებას — სათანადო მნიშვნელობა მოქმედებითის ფორმებითაც გა-  
მოიხატება **(გაიხედავს, შეიგინებს, გაიზმორებს, დაიყუფებს...)**. იქმნე-  
ბა შთაბეჭდილება, თითქოს მოთხრობითსუბიექტიანი ფორმები ვნები-  
თის პარადიგმის გაგრძელებაა ნამყო ძირითადში. ეს „შეთავსება“ კი  
დამოკიდებულია შესაბამისი გარდამავალი ფორმის აწმყოში ხმარების  
სინშირეზე. მაგ.: რომელიმე **იხედება — გაიხედა მან** ქართულში უკვე  
ერთ პარადიგმად აღიქმება და ამის მიზეზი **იხედავს** ფორმის ხმარების

<sup>9</sup> ეს მოწმობს, რომ ვნებითის ფორმებს ნამყო ძირითადში მხოლოდ სახელო-  
ბითსუბიექტიანი კონსტრუქცია შეიძლება ჰქონდეთ (**იზმორება — გაიზმორა იგი**),  
მოთხრობითსუბიექტიანი (**გაიზმორა მან**) კონსტრუქცია მოქმედ გვარის ფორმათა  
**(გაიზმორებს)** კუთვნილება.



იშვიათობაა (იხედავს — გაიხელა > იხედება — გაიხელა); იჩოქებს იგი — დაიჩოქა მან კი შედარებით მყარი პარადიგმაა, რადგან იჩოქება — დაიჩოქა ფორმათა ხმარება ქართულში იმდენად იშვიათია, რომ განმარტებით ლექსიკონში არც აღნუსხულა (ჩაიჩოქები და ატირდები, — „ლიტ. საქ.“ 1978, № 43 (2146), გვ. 3; „დაბნეული დავიჩოქე“, — ღია ჩიანელი, „სოციალდემოკრატი“, 1912 (239), „თათია წამოიჩოქა“, — „ცისკარი“), ასევე იშვიათია იმუხლება ფორმა („ფიქრები ზან ძირკვებ-მოქცეულივით... იმუხლებოდნენ“, — „ნობათი“), და ამდენად ჩაი-მუხლებს იგი — ჩაიმუხლა მან მყარი შესიტყვება ჩანს.

იხედება იგი — გაიხელა მან (შერეული პარადიგმის) ტიპის ზმნათა ანალოგიით შეიძლებოდა აგვეხსნა მოთხრობითსუბიექტიან იცქირა, დაიმუქრა, წამოიფხორა, შეიკურთხა... (მან) ფორმათა არსებობა ნამყო ძირითადადში; მათ აწმყოში სათანადო მოქმედებითის ცალები არ ეძებნებათ, ე. ი. არ გვაქვს იცქერს, იმუქრებს, იფხორებს, იკურთხებს... სამაგიეროდ დასტურდება ვნებითის ფორმები იცქირება, იმუქრება, იფხორება, შეიკურთხება წყებისა... მაგრამ, რადგან ეს „ანალოგია“ მხოლოდ განსაზღვრული რიგის — აქტიური შინაარსის — ვნებითებს მოიცავს, ვფიქრობთ, რომ სწორედ ვნებითის ფორმათა აქტიური შინაარსის მიზეზია მოსაძიებელი.

იმის მიზეზად, რომ ვნებითის ზოგ ფორმას მოქმედებითის ფუნქცია აქვს, ა. შანიძე ვნებითის ამ ფორმათა (ინიან ვნებითების) სათავისო ქცევიდან წარმომავლობას თვლის<sup>10</sup> (ნამყო ძირითადადში ფუძე ლაბილურია). თუ მხოლოდ ესაა მიზეზი, მაშინ აქტიურობა ამგვარი გზით მიღებულ ვნებითის ყოველ ფორმას (ე. ი. ყველა ინიან ვნებითს) უნდა შეეხოს, ეს კი ასე არაა.

აქ გასათვალისწინებელია ქართულში გვარის კატეგორიის არსებობის განმსაზღვრელი დებულება: გვარის საკითხი წყდება საპირისპირო ფორმათა პარალელური არსებობით კონვერსიის ნიადაგზე. ვნებითის ფორმა მოქმედებითიდან იწარმოება კონვერსიის გზით. კონვერსიის მექანიზმი კი ასეთია — მოქმედებითი გვარის უახლოესი (პირდაპირი) ობიექტი ვნებითი გვარის ფორმაში სუბიექტად გვევლინება ხოლმე.

თუ ჩვენთვის საინტერესო აქტიური შინაარსის ინიან ვნებითებს გვერდით სათანადო მოქმედებითებს ამოვუყენებთ, გვექნება მოქმედებითი გვარის ფორმათა ორი მოდელი: 1. ა + ფუძე + სუფიქსი, 2. ფუძე + სუფიქსი.

<sup>10</sup> ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 447.

პირველი მოდელით (ა + ფუძე + სუფიქსი) ნაწარმოები მოქმედებითი გვარის ზმნები უპირატესად კაუსატიური შინაარსისანი არიან: აყეფებს იგი მას, გააღიმებს იგი მას, ალოცებს იგი მას, აჩხუბებს იგი მას... ობიექტი აქ ყოველთვის აქტიურია (სულიერი), მოქმედების შემსრულებელი, შესაბამისი ვნებითის სუბიექტიც აგრეთვე აქტიურია: იყეფება, იღიმება, ილოცება... (იგი), წაჩხუბებიან (ისინი)... ასევე აქტიური შინაარსისანი არიან კაუსატიურ მოქმედებითა შესაბამისი ვნებითები: ატყობინებს — იტყობინება, აკვრევიანებს — იკვრევიანება, ათვლევინებს — ითვლევინება... ის ფაქტი, რომ მოქმედებითი გვარის ზმნის ობიექტი თვითონ გვევლინება მოქმედების შემსრულებლად, შეგვეძლო ჩაგვეთვალა შესაბამისი ვნებითის სუბიექტის აქტიურობის მიზეზად (მოქმედებითი გვარის ობიექტი = ვნებითი გვარის სუბიექტი).

ამათ გვერდით გვაქვს აზმორებს იგი//მას, აფურთხებს იგი (ან, იგი მას), აჭყეტს იგი თვალებს... ა + ფუძე + სუფიქსი მოდელით ნაწარმოები ფორმები და, ასევე, ფუძე + სუფიქსი მოდელით ნაწარმოები ბერტყავს იგი მას, კეცავს იგი მას... ფორმები.

ჩამოთვლილ ფორმათაგან აზმორებს იგი//მას, აფურთხებს იგი მხოლოდ ფორმითაა მოქმედებითი გვარისა — უახლოესი ობიექტი ამათ არ მოეძევათ. კონტექსტში აფურთხებს ფორმა ორპირიანადაც შეიძლება წარმოგვიდგეს (იგი მას), მაგრამ ეს ობიექტი უახლოესი ობიექტი არაა (აფურთხებს იგი მას — მიაფურთხა მან მას); ამდენად კონვერსიის პირობა მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნათა შორის აქ არ არის დაცული. რაც შეეხება ფორმებს — ბერტყავს იგი მას, კეცავს იგი მას, აჭყეტს იგი თვალებს... მათ აქვთ შესაბამისი ორდინარული ვნებითები (იბერტყება ვილაცისგან, იკეცება ბადე ვილაცის მიერ). ამ ზმნათა უახლოესი ობიექტი არაა ის აქტიური ობიექტი, რომელიც იჭყიტება, იბერტყება (თვითონ იბერტყავს), იკეცება (თვითონ იკეცავს) ფორმებთან სუბიექტად წარმოგვიდგება.

ვნებითის აქტიურ ფორმებთან სუბიექტის ფარდი სახელი სულიერთა კლასის წარმომადგენელია, მაგრამ, ჩვენი აზრით, არც ეს ფაქტი გამოდგება ვნებითის აქტიური შინაარსის ამხსნელად; ერთი და იგივე სუბიექტი — სულიერთა კლასის წარმომადგენელი — ერთსა და იმავე ფორმაში შეიძლება პასიურადაც გაიაზრებოდეს: იბერტყება იგი ვილაცის მიერ (=იციმება ვილაცის მიერ) და აქტიურადაც — იბერტყება იგი (იბერტყავს თვითონ მტერს); პასიურია სულიერთა კლასის გამომხატველი სუბიექტი სხვა შემთხვევებშიც: მოიკლა კაცი (ფრანგნი ამბობენ, ღმერთო, რა მხნე კაცი მოიკლა, — „სიმღერა როლანდზე“), დაიჭრა დათვი... ე. ი. დამოკიდებულება სულიერსა და აქ-

ტიურს შორის ამ შემთხვევებში ცალსახა არაა — ერთი მეორეს არ ნიშნავს!<sup>11</sup>

ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი ფაქტია საყურადღებო: აქტიური შინაარსის მქონე ვნებითი ევარის ზმნათა საპირისპირო მოქმედებობები სათავისო ქცევის ფორმებთან სათანადო შესიტყვებებში უბიექტოდაა წარმოდგენილი:

ი-ხედ-ავ-ს (შდრ.: ი-ხედ-ებ-ა). იწმენდს, იხედავს ხელზე, ტირის (ს. მაგლ.)-ცისკენ აიხედავდა და ტიროდა (ნ. ლორთქ.).

გამო-ი-ჰყვრეტს (შდრ.: გამო-ი-ჰყვრიტ-ებ-ა: ექამდისინ ენერგიულად გამო-ი-ჰყვრეტს იმისი სახე (ილია).

გამო-ი-ჰყვრეტ-ს (შდრ.: გამო-ი-ჰყვრეტ-ებ-ა): მზე ხან გამოიჰყვრეტს და ხან ღრუბლებში ეხვევა (აკაკი).

იტყუ-ებ-ს (შდრ.: იტყუ-ებ-ა): ოთარანთ გიორგის რა მოწმე უნდა? ღმერთ-მანი, იტყუებს-და! სთქვა ვილცამ (ილია). თუ ღმერთი გწამს, ნუ იტყუებ! თქვი მართლა („ივერია“).

და-ი-ყუფ-ებ-ს//და-ი-ყუფ-ს (შდრ. და-ი-ყუფ-ებ-ა): იყუფებენ, ვეღარ გავიგონებ, საიდან რა ხმა წამოვა (ჰ. ამირეჯ.). რომელიც არ გვიცნობს, დაიყუფს და გაჩუმდება (ნ. ლორთქ.). ყორანას მურა ტყუილად არ იყუფებდა (ნ. ლორთქ.).

შე-ი-გინ-ებ-ს (შდრ.: შე-ი-გინ-ებ-ა): — პატრონით არი, მაგის, — შეიგინებდა მიტო, თავს შეაქანებდა და გოგიას შეუძახებდა („კომ.“).

გა-ი-ზმორ-ებ-ს (შდრ. გა-ი-ზმორ-ებ-ა): როცა მოიგონებდა, ერთს გაიზმორებდა და ამას იტყოდა (ილია). ხატაურა ოდნავ წაიკრუტუნებდა, ზარმაცად ოდნავ გაიზმორებდა (შ. არაგვ.).

გა-ი-ღიმ-ებ-ს (შდრ.: გა-ი-ღიმ-ებ-ა): ქორღუყო სიამოვნებით გაიღიმებდა, რადგან ამ საქციელში განუსაზღვრელ სიყვარულს ხედავდა (აღ. ყაზბ.). მაშინ პირველად გაიღიმებ! (ნ. ლორთქ.).

მო-ი-კეც-ავ-ს (შდრ.: მო-ი-კეც-ებ-ა): ანუ რა სიტყვებს შეეძლოთ გამოხატვა ქაიხოსროს სიამოვნებისა მაშინ, როდესაც ის მოიკეცავდა ხალიჩაზედ, დაეჭინებოდა კალთაში ჩადგმულ მუთაქას („მოამბე“).

ი-ლოც-ებ-ს//ი-ლოც-ავ-ს (შდრ.: ი-ლოც-ებ-ა): მოდი და ჩვენს ხელმწიფეზე ილოცებ (ნ. ლორთქ.). ისევ აქ მოვა, თავის ეკლესიაზე ილოცავს (ნ. ლორთქ.).

ი-ფურთხ-ებ-ს (შდრ. ი-ფურთხ-ებ-ა): ხელში ისევ ის წიგნი უჭირავს, თითზე იფურთხებს და ისე ფურცლავს (დ. შენგ.). დიმი დახეტილ ხელისგულზე დაიფურთხებდა და ღონივრად უთავაზებდა მინიშნებულ ადგილს (გ. ზორგ.).

ი-წევ-ს (შდრ.: ი-წევ-ა): ნელ-ნელა იწევს უკან (რ. ინან.). მზე მალა იწევს („ციხკრის ბიბლიოთეკა“).

აღნიშნულს არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ი-პრეფიქ-

<sup>11</sup> ცალკეულ შემთხვევებში მოთხრობით ბრუნვაში შეიძლება მოგვევლინოს რა კლასის სახელიც: მეც მაგას ვეძებ, ლეშმა იტანჯოს (ვაჟა). როდესაც შუამ დაიორთქლა, ჯორჯი წინ წაიხარა და საჩვენებელი თითით ზედ ინსპექტორ რეჟინალდის პორტრეტი დახატა (რ. ინან. თარგმ.).

სიანი ვნებითი გვარის ზმნათათვის ამოსავალი მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის ფორმაა, სათავისო ქცევის ზემოთ ჩამოთვლილი ფორმები კი მხოლოდ ფორმალურადღა არიან სათავისო ქცევისა, რადგან შესიტყვებაში უახლოესი ობიექტი არ დასტურდება და მხოლოდ სუბიექტია წარმოდგენილი: **იხედავს იგი...** შესაბამის, მისგან მომდინარე, ვნებითის ფორმაშიც ეგვე სუბიექტი წარმოჩინდება — აქტიური სუბიექტი, მოქმედი (აგენსი): **იხედავს იგი/იხედება იგი...** აქტიურობა-პასიურობა კი სხვადასხვა სუბიექტს უკავშირდება.

**იხედავს/იხედება (იგი)** ტიპის ფორმათა შორის შინაარსობრივი სხვაობა შესიტყვების სტრუქტურის სხვაობის დარღვევასთან ერთად (გარდამავალი ზმნა უობიექტოდ წარმოგვიდგება) იშლება. სინტაქსურ დონეზე მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებს შორის მომხდარ ნეიტრალიზაციას დაერთო ნეიტრალიზაცია სემანტიკურ დონეზე. განსხვავება მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებს შორის ამ შემთხვევაში მხოლოდ ფორმალურია; **იხედება** („წინაც კი არ **იხედები**“, — **მ. ჯავახ.**). აქტიური მნიშვნელობით აღარაა **ხედავს ის მას** ფორმის კონვერსიული სახე, რადგან ორსავე ფორმაში, ერთი, აქტიური სუბიექტი გვაქვს.

როდესაც გვარის ფორმებს შორის კონვერსიის პირობა დაცულია, შინ ვნებითიც ჩვეულებრივი გვექნება:

**ხედავს ის მას** (ტყიან სერებს) — შდრ.: „მდინარეები გარულა და ვასკუნჯა რომ შეერთდებიან, იქიდან სამხრეთისაკენ დიდი ტყიანი სერები **იხედება**“ (**გ. წერ.**).

ამგვარად, **იხედება** ვნებითის ფორმას (აქტიური მნიშვნელობისა) ფუნქციურად შესაბამისი მოქმედებითის ფორმა არ გააჩნია (თუმცა, **ახედებს ის მას**).

გამოიყოფა კიდევ ერთი რიგის ვნებითები, რომელთა სათანადო მოქმედებითს სათავისო ქცევის ფორმაში უახლოეს ობიექტად აქვს რეფლექსივი „თავი“ (ან საკუთარი სხეულის ნაწილები), ე. ი. სუბიექტი მოქმედებს თავისთავზე; იგი თვითონვეა მოქმედების შემსრულებელიც (აგენსი) და მოქმედების ობიექტიც (პაციენსი): **იტანჯავს იგი თავს...** შესაბამისი ვნებითის ფორმაში სუბიექტი შეიძლება პასიურადაც გავიზნოთ და აქტიურადაც: **იტანჯება ვიღაცისგან**, რალაცის გამო, და **იტანჯება თვითონ** (თავს იტანჯავს), ამიტომ გვაქვს ნამყო ძირითადში სახელობითის გვერდით მოთხრობითბრუნვიანი კონსტრუქციაც, — **იტანჯა იგი/მან**.

**იმუქრება, იცქირება, იფხორება, შეიკურთხება, გადაიწვერება, გადაიხრება...** ფორმები აქტიური შინაარსისაა და მოთხრობითსუბიექტ-

ტიანი კონსტრუქციაც შეიძლება ჰქონდეს ნამყო ძირითადში (სახე-  
ლობითსუბიექტიანის გვერდით): **ღამუჭრა მან, იცქირა მან, გაიფხო-  
რა მან.** „მზემ გადაიწვერა და ჩაესვენა მთებს იქით, („ივერია“ 1887,  
№ 233, გვ. 3). „მზემ გადაიხარა“, (ალ. ყაზბ.)... თუმცა ამ ზმნა-  
თა სათანადო გარდამავალი ცალები სალიტერატურო ქართულში  
არ დასტურდება. ე. ი. ენაში გვაქვს ვნებითის ფორმები და არაა საპი-  
რისპირო მოქმედებითები; რაკი გვარის კატეგორია საპირისპირო ფორ-  
მათა არსებობას გულისხმობს, ამდენად, „უცალო ვნებითები“ (ტერმი-  
ნი ა. შანიძეს ეკუთვნის) გვარის ნამდვილ შინაარსს მოკლებულია:  
„ასეთი ვნებითი ფორმალურად არის ვნებითი და არა ფუნქციურად“.  
სუბიექტი აქ მოქმედია და არა ვნებული — ვნებითის ფორმის აქტიურ  
შინაარსსაც ეს ფაქტი განსაზღვრავს.

სალიტერატურო ქართული ენის სათანადო მასალის ზემოთ ჩატა-  
რებული ანალიზი ამგვარი დასკვნის საშუალებას გვაძლევს: ვნებითის  
ფორმათა აქტიური შინაარსი გაპირობებულია შესაბამისი მოქმედები-  
თი გვარის ზმნით, მოქმედებითი გვარის ზმნის შესიტყვებაში მომხუჯა-  
რი სტრუქტურულ-სემანტიკური ცვლილებებით, ან უფრო კონკრეტუ-  
ლად — აქტიური შინაარსისა ვნებითი: 1. თუ სათანადო მოქმედები-  
თი გვარის უახლოესი ობიექტი თვითონ არის მოქმედების შემსრულ-  
ბელი, 2. თუ მას მოქმედებით გვართან საერთო სუბიექტი აქვს, 3. ა  
მას სათანადო მოქმედებითის ცალი არ გააჩნია.

ამდენად, სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით შემდეგი  
შეიძლება ითქვას: თუ ერთმანეთის პარალელურად ენაში არსებობს  
მოქმედებითი გვარის უობიექტო და ვნებითის შინაარსით იდენტური  
ფორმები (გაიწმორებს და გაიწმორება, იხედავს და იხედება...), ნამყო  
ძირითადში სუბიექტი შეიძლება იდგეს როგორც მოთხრობითში, ასევე  
სახელობითში; იქ, სადაც გვარის ფორმათა ამ სახის პარალელიზმი არა  
გვაქვს, სუბიექტის ბრუნვა ნამყო ძირითადში სახელობითი უნდა იყოს:  
გაიკრიჭა იგი (იკრიჭება), დაიღრიჭა იგი (იღრიჭება), გაიფხორა იგი  
(იფხორება), ღამუჭრა იგი, იმუღარა იგი, დაიქაღნა იგი, გადაიწვერა  
მზე, გადაიხარა მზე, შეიკურთხა იგი... (და არა მან).

გაიღანძლა მან, იღანძლეს მათ — ენაში გაჩნდა შეიგინა მან, შეი-  
გინეს მათ სემანტიკურად მსგავსი სიტყვის ანალოგიით (შღრ., შეიგი-  
ნებს იგი — შეიგინა მან, იგინება იგი — შეიგინა იგი (თვითონ შეაგი-  
ნა); სწორი ფორმა იქნებოდა გაიღანძლა იგი („მე, ხეპრევე, შენა, გაი-  
ღანძლა ტოსკანელი“, — ვაჟა), მაგრამ როგორც ჩანს, ცალკე შეიგინა  
მან ფორმასთან ანალოგიამ, ცალკე პასიურ მნიშვნელობასთან (გაი-

ლანძღა იგი ვილაცისაგან) თანხედენის აცილების სურვილმა დაამკვიდრა მოთხრობითსუბიექტიანი ფორმა ილანძღა მან, ილანძღეს მათ. ასე რომ, დასაშვებია, როგორც გაილანძღა იგი, ასევე, გაილანძღა მან; ასევე მოსალოდნელია იყურა, იცქირა ფორმებთან სუბიექტის ბრუნვად მოთხრობითი წარმოგვიდგეს სემანტიკურად მსგავსი გაიხელა მან ფორმის ანალოგიით.